ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:**g-103. 103231181**

თარიღი:**28/04/2023**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერისათვის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის "მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგის" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 106^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

მუხლი 1.ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებთან ერთად დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი";

მუხლი 2. იურიდიული პირის სახელწოდება შესაძლოა დაზუსტდეს მუნიციპალიტეტების მიერ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადების ან/და რეგისტრაციის პროცესში;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მის.ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი